



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 2

„ 05 „

03

2019წ

**დადგენილება № 5**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთათვის სტიპენდიის დანიშვნის წესისა და კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. განისაზღვროს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთათვის სტიპენდიის დანიშვნის წესი და კრიტერიუმები დანართის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

*(Handwritten mark)*



მაკა ბერიძე

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთათვის სტიპენდიის დანიშვნის წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტში) ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების მიზნით არსებობს შემდეგი სახის სტიპენდიები:
  - ა) სახელმწიფო სტიპენდია;
  - ბ) საუნივერსიტეტო სტიპენდია;
  - გ) სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტიპენდია;
  - დ) სახელობითი სტიპენდია.
2. სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით უნივერსიტეტისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4% -ის სტიპენდიით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 150 ლარის ოდენობით თვეში.
3. სტიპენდიების დანიშვნა ხორციელდება საგამოცდო სესიის ძირითად ვადებში მიღებული შედეგების საფუძველზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძირითად ვადაში გამოცდის ჩაბარება შეუძლებელია ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, რაც დადასტურებული იქნება სათანადო დოკუმენტით) შემესტრუღად შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
  - ა) სტიპენდია ენიშნება სტუდენტს, რომელსაც ყველა საგანში აქვს შემდეგი შეფასებები: ფრიადი(A) და ძალიან კარგი(B);
  - ბ) სტიპენდიანტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში ფაკულტეტისათვის გამოყოფილ რაოდენობაში სტუდენტთა შერჩევა ხდება სტუდენტის მიერ მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გათვალისწინებით, რეიტინგის მიხედვით;
  - გ) იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება რამდენიმე თანაბარქულიანი სტუდენტი, გათვალისწინებული იქნება ისეთი მახასიათებლები, როგორცაა: სამეცნიერო და საზოგადოებრივი აქტიურობა, გამოქვეყნებული პუბლიკაციები და ასევე შესაძლებელია დამატებით გათვალისწინებული იქნეს სტუდენტთა სოციალური მდგომარეობა;
4. 50 სტუდენტს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესით დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ ვერ მოხვდნენ სახელმწიფო სტიპენდიის პროგრამაში, დაენიშნებათ საუნივერსიტეტო სტიპენდია 62,5 ლარის ოდენობით.
5. სხვა ორგანიზაციიდან სტიპენდიების დანიშვნის შემთხვევაში, სტიპენდიის დანიშვნის წესსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს თავად დონორი ორგანიზაცია.
6. სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის წესსა და კრიტერიუმებს შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

7. სტუდენტთა სტიპენდიის დანიშვნის შესახებ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებაში წარდგინებას აკეთებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.

8. სასწავლო განყოფილების წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ.